

ნახ. გ. ფირცხალავასი

„ნიანგი“- „საქართველოს ქალს“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით საქართველოს ქალთა კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი დარაზმების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის ეურნალი „საქართველოს ქალი“ დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ამას წინათ დიდი ზეიმით აღინიშნა ეურნალის 50 წლისთავი.

მე ორდენი არ მაქვს, მაგრამ
მიზეზი მაქვს საპატიო, —
ჯილდოს გვიან რომ გილოცავ!
შეგიძლია, მაპატიო?

იყავ ასე გულითადი,
შემართებით წელმაგარი,
შენ — ეურნალი — სიხარული
საქართველოს ყველა ქალის! —

განა მართო ყველა ქალის?
დავუმატებ: ყველა კაცის
სათაყვანო ეურნალი ხარ!
კარგად ვიცით შენი ფასი!

მადლიერ და აღტაცებულ
მკითხველს ვერვინ გამოგილევს!
მოგილოცავ სახელოვან
და დიდებულ იუბილეს!

გამოგზავნილი უარში ბ. შიროძის სახელი



ქართული საბჭოთა პოეზიის მშვენიერებასა
და სიამაყეს — ანა კალანდაძეს
50 წლისთავი შეუსრულდა.

ქართული ლექსის წმინდანი
და ანგელოზი ანა ხარ!
შენმა სიმღელემ, სრულქმნილმა
სულს სხვა სამყარო ანახა!

შენს პოეზიას, ღვთაებრივს,
არა აქვს ანალოგია!
წინადადებებს ვაყენებ:
შეიქმნას ან ანგელოზი!

„ნიანგის“ დავალებით —
ზაურ პოლკვამიძე

აპაპი მუხურაძე



თხის ბოლო რიცხვებში დაქანცულ-გასავთებელი ვბრუნდები სახლში და ბალიშზე თავის დადებას ვერ ვასწრებ: გეგმა! გეგმა! გეგმა!

7 საათია. თეთრი კედლები რძისფერი ნისლივით ლიცლიცებენ საღამოს მწუხრში. საბანში ვეხვევი. 2 საათი! თუნდაც 2 საათი! ათ საათზე. ელიკოს დაბადების დღეზე მივდივარ (მგონი, ოცდაშვიდისა ხდება! რას გაიგებ?) ბოლოს და ბოლოს, უნდა გადავსინჯო ჩვენი პოზიციები: მე ბინა მივიღე, ელიკო, მგონი, ოცდაშვიდისა ხდება! ან „ჰო“, ან „არა“! ნისლივით ლიცლიცებენ თეთრი კედლები, პეპელასავით დაფარვატებენ ფიჭვები კედლებზე...

ჩემს მეზობლად ახალმოსახლობას აღნიშნავენ, საზიარო კედლიდან მესმის ყრუ ბუზუნები. ვიცი, არ დამიძახებენ. ასეა, საერთოდ! საშამ და მერიშ რომ ბინა მიიღეს, ხუთეჭაბიანი წვეულება გამართეს: პირველ დღეს საშამ თანამშრომლები მოვიდნენ, მეორე დღეს მერიშ მოიწვია თავისი თანამშრომლები, მესამე დღეს საშამ ნათესავ-მეგობრები შეიკრიბნენ, მეოთხე დღეს მერიშ ნათესავ-მეგობრებმა დალოცეს ჰერი და მხოლოდ მეხუთე დღეს მოიცალეს მეზობლებისათვის. რას იზამ? ადამიანის გულში უფრო მეტი სტუმარი ეტევა, ვიდრე...

— პლატონ! მთლად ამოუყრია პარკეტი ამ სამიწეს! — წივის კედლის იქიდან ქალი.

— გაგიჟდი, შე მამაძალო? — მესმის მამაკაცის ბლავილი.

— რა ჩემი ბრალია?! — ღრიალებს ბიჭი, — ფეხი წამოვკარი!

„კაკ-კუკ!“ — პიქამოგადაცმული ვალებ კარებს...

— მობრძანდით!

— ასი გრამი წყალი თუ გექნებათ? — მელრიჯება კარის მეზობელი, რომელიც აფთიაქში მუშაობს.

— ძველია, ინებებთ?

— რას ამბობ?! — მეუბნება, — ჩვენები წყლისთვის წავიდნენ, სოდა მინდა დავლიო, კუჭი მაწუხებს!

მე წყალს ვაწვდი ჭიქით.

— ნავთი თუ დაგჭირდეთ, არ მომერიდოთ! — მაფრთხილებს მეზობელი.

ტბილ ბურანში ვეხვევი.

— ვაშა! — კედელი შეაზანზარეს მეზობელი ბინიდან.

— „ღირეჭტორი აღღვრძელეს“, — ვფიქრობ მე, — „მლიქვნელები!“

ჩვენი ღირეჭტორი მახსენდება. იგი მლიქვნელებს არ გააქაჭანებს. თვალები აღარ მემორჩილებიან...

— ვაშა! — კვლავ ზანზარებს კედელი. — „მთავარი ინჟინერიც აქ ყოფილა“, — ვფიქრობ მე, — „ასეთ ხალხს ბინა კი არა...“

— ვაშაა! — „ეს უკვე მეტისმეტია! ვინ უნდა იყოს? ალბათ, მოადგილეა, დგას ახლა ფეხზე და ილიტივით ილიმება. ნეტავი, რამდენი მოადგილეა?“

— ვაშაა! — ახალჩადინებული ფეთიანივით წამოვხტი. მთელი ორგანიზმით ვკანკალებ, ნერვებმა მილატეს.

„კაკ-კუკ!“ — ელექტროლილას ვაწვები, მერე ასანთომარჩვებული ვალებ კარებს.

— მეზობელო!

გავგიჟდი კაცი, სწორედ ის ვაჟბატონი გახლავთ.

— რა გნებავთ? — ვეკითხები ცივად.

— ნავთი! — ქოშინით მომმართავენ იგი, — ბნელში მყავს სტუმრები...

უცებ თვალისმომჭრელად იფეთქა სინათლემ და ამას მოჰყვა გამაყრუებელი „ვაშა“.

— ასეა, ასე, — თქვა ნერვული ჩურჩულით, — აინთება, ჩაქრება, აინთება, ჩაქრება!

აინთება, ჩაქრება!

...და მართლაც ჩაქრა. კორპუსი წყვდიადმა მოიცვა.

— ვუუ! — განწირული ხმით იღმუვლა კაცმა და იქვე ჩაიკიცა. რაც წყალი მქონდა, ერთიანად გადავასხი და მოვასულიერე.

— სადა ვარ? — იკითხა მისუსტებული ხმით.

— საკუთარ ბინაში, ახალ ბინაში! — გუთხარი მე, — ახლავე მოგიტან ნავთს!..



— ვინ არიან, სპეკსტი, ეგენი?
— მოწყვებულ დამიდგნენ მძღოლთან. რომ ბილეთი
ნამდვილად ავიღო!

გადრი ტონია

დავაგვიანდა!

ტროლეიბუსს გაჩერება არ ვაცა-
ლე, ისე გადმოვტეხი... კისრისტეხით
აფირბინე კიბეები და მუხის პრიალა
კარებთან გაჩერდი. საათს დავხედე.

— დავაგვიანე, მთელი ორი საა-
თით დავაგვიანე, — ვფიქრობდი გო-
ნებაარეული, შიშისა და პასუხისმგებ-
ლობის გრძნობა სულს ჰიხუთავდა.

— შევიდე? — ვაი ამ შესვლას. არ
შევიდე და, არც ეს ივარგებს.

დრო კი მიდის, წამს წამი ემატე-
ბა, დანაშაულს — დანაშაული.
ბოლოს, რაც იქნება, იქნება...
შევედი.

იგი მაგიდასთან იჯდა. მუხლებმა
კანკალი დამიწყო. იგი წამოდგა,
სათვალე ნერგულად მოიხსნა და
მისი ცივი ხმა ოთახში მეხივით გა-
ვარდა.

— სად ბრძანდებოდით?
ენა მუცელში ჩამიჭრა.

— ვის ვეკითხები მე! — ისევ დაი-
ქუნა.

„რა ვუპასუხო? რა ვთქვა?“ —
ვფიქრობ და თან სიმწირის ოფლს
მასხამს.

— მიბრძანდით იქ, სადაც აქამდე
იყავით! — გამოსცრა მან ბოლოს და
კარისაკენ მიმითითა.

ამდენი დამცირების მოთმენა აღარ
შეიძლებოდა და ის იყო უნდა ავფე-
თქებულიყავი, რომ ხმაურზე გოგონა
შემოვიდა. ჯერ ჩემს გაფითრებულ
სახეს შეხედა, შემდეგ მას მიუბრუნ-
და, ქანდაკებასავით ხელგაშვერილი
თვალებიდან ცეცხლს რომ აფრქვე-
და, და მუდარით უთხრა:

— დედიკო, აპატიე მამას, მეტს
აღარ იზამს!..

გოგონას გადავეხვიე და გული
ამიჩუყდა.



(ახალი მოდა ძველ მოტივზე)


ასი, ასი, ასლამაზი
ეკა აღარ მაცვია,
აბრეშუმის „შინიონი“
თავზე გადამვარცხნია...
მიყვარს შამპო, შოკო, კონო,
„კოკა-კოლა“ თარსია!
გავაბოლებ „ფილიპ-მორისს“,
„ქემელზე“ წარმტაცია...
„მაკარტის“ მაქვს სათვალეები, —
„კრისტალონზე“ ბაცია;
მიყვარს სახის კოსმეტიკა,
წამწამებზე იზაცია!
„შლაქსებს“ ვეძებ „კლიენტებში“,
„დუბლიონკა“ მაცვია!
მარჯვენაზე — „პანჩოს“ ჩანთა,
ჯიბეში მაქვს ცაცია,
ტეჰმოტის ქამარი მაქვს, —
გველის ტყავი ნაცია!
ტეხასური ცხენის ნალზე
მადონები ასხია!
„პიპებს“ ვიჭერ ტრანზისტორით,
გლეჯავს „სონის“ რაცია,
„ორიენტის“ საათი მაქვს, —
სამი ძროხის ფასია!
მამაჩემის შარვალს ვიცვამ, —
უი, რა ლამაზია!..
დედაჩემთან საზიარო
„საბოგებიც“ მაცვია,
ტიპამდე ვარ გაღვდილი,
მკერდზე ჯვარი მასვია, —
მოვსერიწობ რუსთაველზე
„მასტი“ გოგო — ფაცია!..



შემოდგომის სურათი



ფართო კეზის მაქიზელი



ცნობილ ქართველ დრამატურგსა და იუმორისტს — გიორგი (გია) ივანიშვილს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა. 1933—1954 წლებში იგი მუშაობდა ქურონალ „ნიანგის“ რედაქციაში. უკანასკნელ წლებში იყო მთავარი რედაქტორის მოადგილე.

ესტრადას და ქურონალ „ნიანგს“ შეაღიე ენერგია! გიცნობენ და გაფასებენ! ნუ აიშლი ნერვებს, გია!

არვის შიში არ გქონია, მიაღწიე სამოცს ისე! ღვაწლმოსილი მწერალი ხარ, წიგნებს ვინ არ გამოგიცემს?!



მეგობრული ზარი ბ. მთიულეზვილისა



ცნობილ ქართველ გეოგრაფსა და ქურონალისტს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გრიგოლ ზარდალიშვილს დაბადების 60 და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავი შეუსრულდა.

გეოგრაფიულ ტერმინთა ცოცხალი ლექსიკონია! გრიგოლის ყველა სტატია ნამდვილი ლექსი მგონია!

ქურონალისტ-მოგზაურია! გეოგრაფიის გრაფია! თვითონ ბრძანდება ფუტკარი, მიაი შრომები — თაფლია!

ნიანგის დავალებით — ბათუ მელია

ალბათ, ინდური არ გაუყიდათ ისეთი სისწრაფით გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოში მცხოვრებ ველივე ფაშა ჰასან-ოღლის მშობლებს, როგორც მათმა შვილმა ავტომანქანა „დატსუნ-2400“ იყიდა. ყიდვა-გარიგება ზუსტად 13 საათსა და ნულ-ნულ წუთზე დაიწყო და 13 საათსა და 10 წუთზე დამთავრდა.

— ათი ათას შვიდასი მანეთი! — დაარტყა ძარბზე ხელი მანქანის პატრონმა ნუგზარ ფრიდონის ძე ჩიქიამ.

— ათი ათასი! — შეაგება მყიდველმა ფაშა ჰასან-ოღლიმ.

— ათი ათას ხუთასი!..

— ათი ათასი!..

— მოიტა ხელი!.. — ნუგზარის მარჯვენამ ფაშას ხელზე მოაღწია ტყაპანი. ითქვა და შესრულდა: ათი ათასი მანეთი ველივეის ჩიბიდან ნუგზარ ჩიქიას ჩიბეში შეტრიალდა, ხოლო იაპონური მარკის ავტომანქანა „დატსუნ-2400“ (კამ 32-20) ფაშა ჰასან-ოღლის ეზოში შეგრი-ალდა. ასეთ სწრაფ გარიგებას, სავაჭრო წესის თანახმად, დინჯი და ტეხილონიანი დალოცვა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ავადო გამყიდველმა ნუგზარ ჩიქიამ ქვა და თავი შეუშვირა: — ახლა ჩემი ბავშვები რუსთავეში, ალბათ, მოშიგბული ბოჩოლებივით გაჰყურებენ გზას!.. წაგლი!.. მეტი აღარ შემიძლია მაგის ყურება!.. დედამამიშვილებივით ვიყავით ერთმანეთთან მიჩვეულნი. ალალი და უსაყვედურო იყოს, ძმაო, შენზე! ახლა ისე დაქექი, რომ მაგ მანქანას ვე-ლარ გხედავდე!.. ეგებს... ძნელი ყოფილა განშორება. გულჩვილი კაცი ვარ და, ყელში მოწოლი-ლმა ბოლმამ, ლამის არის დამაზრჩოს!

რალს იზამდა მყიდველი? გზა დაულოცა და ბედნიერი მგზავრობა უსურვა გამყიდველს. ამ ამბავს სწორედ აქ უნდა დასმოდა წერტი-ლი, მაგრამ ერთი საათის შემდეგ, ზუსტად კი 14 საათსა და 10 წუთზე, ნუგზარ ჩიქია ახლა ავტომანქანა „ვოლგით“ (გრო 89-90) შექანდა ისევ სოფელ ნაზარლოში და ისევ ველივე ფაშა ჰასან-ოღლის სახლისაკენ აიღო გეზი.

სალამ-ქალამი აღარ დასჭირვებიათ, ნუგზარი მაშინვე საქმეზე გადავიდა და მრავალსიტყვაო-ბის კორიანტელი დაატრიალა.

— არა, ძმაო, ეს ერთი საათია, სინანულია, ხიჭვი შემერტო თავში და ვერ ამომიღია. შე-ნებული კაცი ჩანხარ და ნუ გამამტყუნებ, დედამამიშვილებივით შევეჩვიე ამ მანქანას და ვე-გამიმეტებია! აი, შენი ფული და ჩემი მანქანა, კი, რა გენა, უკან უნდა დამიბრუნო!

რალს იზამდა ფაშა ჰასან-ოღლი, თუ სხვა არაფერი. დედამამიშვილური სიყვარული ხომ გამოცდილი ჰქონდა და, აბა, ასეთი გულისა-

ჩუყებელი სიტყვების შემდეგ უსულო მანქანას როგორ დაუჭერდა ფაქიზი სულის მქონე ჩიქი-ას? ისევ იმ ქალაქში შეხვეული ფული ილღი-აში ამოიხარა და ახალნაყიდი ავტომანქანის გა-საღები ყელზე გამოსაბმელი თოქივით გადაუ-ლოცა ერთგულ პატრონს.

ჩიქიას წასვლიდან ზუსტად ერთი საათის შე-მდეგ, ესე იგი 15 საათსა და 10 წუთზე, ფაშა ჰასან-ოღლის ეჭვის საღერდელი აეშალა, ქალა-ქში გახვეული ფული გაშალა და, ჰოი, საკვი-რველებად! იქ თავისი ათი ათასი მანეთის ნაც-ვლად 170 მანეთიანი და მათსავე ზომაზე დაჭ-რილი ქალაქების გროვა დახვდა... ელდანაცე-მმა ვალივემა ჯერ მარჯვენა ბარძაყზე იჩქმიტა, მერე — მარცხენაზე და მერე კი ისეთი ღრიალი ამოუშვა პირიდან, რომ მისმა ხმამ გარდაბნის მილიციამდე მიიღწია.

ნუგზარ ჩიქიამ კი რამდენიმე კილომეტრის გაკლის შემდეგ ტანსაცმელი კი არა, ავტომანქა-ნა გამოცვალა და თავისი იაპონური „დატსუ-ნიო“ და სხვისი „ვოლგით“ (გაი 12-50) განაგ-რძო ამფსონებთან ერთად ფათერაყების მაძიე-ბლის მეტად რთული და სახიფათო გზა. მართა-ლია, ქ. მცხეთასთან, ზუსტად 17 საათსა და 10 წუთზე, ფათერაყების მაძიებლებს — ალბერტ ჩაღუნელს, ალპირ ბარათელს, კარლო მა-ტეას ავტონისპექციის თანამშრომლებთან მო-უხდათ გასაუბრება, ხოლო ნუგზარ ჩიქიას გელივეის 9900 მანეთის მილიციამა ჩაბარება, მაგრამ რას ეიზამთ: ფათერაკი რალა ფათერაკი იქნება, თუ ისეთი მოულოდნელი მაზანდით არ შეივასდა. რა ღირებულებისაც ის არის!



ბ რ ა ვ ე რ ა ნ ი

რომ იცოდეთ, საცოდავი ლექსებს წერდა...ო, რა ლექსებს! სხვა ვინ იყო, გვამცნოს თავი, ვიტ მერცხალი, მოალერსე?

ვით პოეტი, იმ ლექსებით იყო ხელემოცარული! იმ ლექსებით იკვნესებდი, სხვაგვარ სცემდა როცა გულიც.


შემდეგ სცადა სულ სხვა ჟანრიც, რა არ წერა, რა არ ჯღაბნა?!

საოცრებით სუსხა ჟამი და ვერავინ ვერ დაჯაბნა.

ორპირობა შესძლო უფრო, ვიდრე ბასრი კალმოსნობა, საკუთარ გზას ვერ გაუგო და სხვისი გზაც არ მოსწონდა.

იყო „დიდი მეოცნებე“. ცოლიც სძულდა მას, მეტოქე! შთაინთქა... და ვერ მოძებნეს ეს მექოთნე თუ მეღოქე!

ილია არონია



— ეს სიანსი რომელ საათზე მთავრდება, შვილო?
— თუ მასალა ვიზოვით, ერთ თვეში დაგმთავრდება!

„ဂေါ်ဒေါ်“
ဗုဒ္ဓကဏ္ဍ

თბილისიდან მოქ. ლ. ლო-ლი გვწერდა: ქუთნალ-გაზეთების
ლოდინმა გული შემიწუხა, ახალ გაზეთს ველი და უკვე კარგა ხნია
დაძველებული მომდისო.

წერილი გადაეგზავნა რესპუბლიკურ „სოიუზგაზტა“-ს, საიდანაც პასუხი მიიღო რედაქციამ და ხელმოწერა: „ხელმოწერილი დაქ-
მაყოფილებულია, იგი რეგულარულად დებულობს პერიოდულ
პრესას, ხელმოწერის ვთხოვთ, მიაკითხოს მე-7 საფოსტო განყოფი-
ლებას, სადაც მიიღებს 5 თვის მიუღებელი გაზეთის თანხას“.

საინტერესოა, ხელმოწერის ჟურნალ-გაზეთების თანხა აინტერე-
სებს თუ ჟურნალ-გაზეთები?

სებს თუ ჟურნალ-გაზეთები?
წააღმუშოს რაიონის სოფ. გეგუთიდან, რედაქციის სახელზე
 გამოგზავნილ წერილში, აღნიშნავდნენ: არ გავგანია კლუბი, საბა-
 რიკმახერო, მედლენტიკი. ბიბლიოთეკა, სავაჭრო და საყოფაცხოვრე-
 რი მომსახურებაო. საჩივარი გადაეგზავნა წყალტუბოს რაისატუბოს
 აღმასკომს. მან გვაცნობა: „...გაცნობები, რომ განცხადებაში აღნიშ-
 ნული ფაქტები აღმასკომის მიერ შესწავლილი იქნა და დასაბუთი-
 კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებული ნაკლოვანებების უმო-
 კლეს დროში აღმოაფხვრელად...“

„ნიადაგის“ რედაქცია იმედოვნებს, რომ უმოკლესი დრო უგზოთ
დროდ არ იქცევა!

ბინებდნენ: „ჩვენს სოფელთან მატარებელი კი ჩაივლის, ჩერდება კიდეც, მაგრამ ჩვენ ვერ ვჩერდებით, — გასაჩერებელი არა გვაქვს, — მაქვს არ ვიცი, სად შევფაროთ თავი!“

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა მშრომელთა დეპუტატების ხო-
ბის რაისაბჭოს აღმასკომს, რომელმაც გვიასუხა: „...განცხადებაში
მოყვანილი ფაქტი სინამდვილის შეფერებაა. ზემო ქვალონის
რაკინიგზის ბაქანს არა აქვს მგზავრთა მოსაცდელი შენობა. აღნიშ-
ნულზე ზემო ქვალონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის და ჩვენს
მიერ რამდენიმეჯერ არის საკითხი დაყენებული ამიერკავკასიის
რაკინიგზის სამართედლოს წინაშე. როგორც ამიერკავკასიის რაკინი-
გზის სამტრედიის განყოფილება იტყობინება, მშენებლობის გეგმი-
შიმდინარე წელს გათვალისწინებული აქვს ზემო ქვალონში მგზავ-
რთა მოსაცდელი ტიპური პავილიონის აშენება“.

არის გამოსავალი: სანამ პავლიონი აშენდებოდეს, სოფელთან ახლომდებარე კეთილმოწყობილ რეინგზის სადგურამდე ჩადით დ. იქიდან, საითაც გინდათ, იქით გამგზავრეთ!

ბათუმიდან მოგვწერეს: „ძვირფასო ნიანგო! ვმუშაობ ბათუმი-სუვაგონო ღებოში, მაგარი, იძულებული ვარ, გადავიდე ბათუმი-ცენტრალურ გადამტვირთავ კანტონაში. მუშაობა ყველგან კარგი, მაგარი როცა იძულებულს გაგზავნი სხვაგან გადახვიდე, ეს ერთ გვარად არასასიამოვნო ფაქტი.“

გვარად არასასიამოვნო ფაქტია.
საჩივარი გადაეგზავნა საქ. კ. ბათუმის საქალაქო კომიტეტ.
პასუხიც მივიღეთ: „აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ
სავაგონო დეპოში (უფროსი ქ. ნაჭყებია, პარტიზუროს მდებარე
ა. არაქელიანი) მუშა-მოსამსახურეთა შორის ჯერ კიდევ არასათანა
ლო დონეზე დგას იდეურ-აღმწარდგომებითი მუშაობა, მთელი გუ-
ლისხმიერებით არ ეკიდებიან კადრის მუშების მოთხოვნებსა და ინ-
ტერესებს, ბოლომდე არ იბრძვიან საწარმოში მათი დამაგრებისა
თვის“.



მოგახსენებთ, რომ, სტატისტიკური მო-
ნაცემებით, ადამიანი ცხოვრების ერთ მესა-
მედს ძილში ატარებს. თუ მხედველობაში მი-
ვიღებთ იმ ფაქტს, რომ საკმაოდ ბევრს დღი-
სითაც სძინავს (მნიშვნელობა არა აქვს, სად
— სახლში, ტელევიზორის წინ, შესვენებაზე,
სამსახურში თუ კრებაზე), მაშინ ეს რიცხვი
შეიძლება ერთ მეორედამდე გაიზარდოს. ახ-
ლა ამას დაუუპირისპიროთ ის ფაქტი, რომ
ყოველივე ძვირად ღირებულს ადამიანი ფზი-
ზელ მდგომარეობაში ჰქმნის (ძვირად ღი-
რებულს მთვრალიც ჰქმნის, მაგრამ ასეთი
შემთხვევები ყოველთვის საზოგადოებრივ
გაკიცხვას იმსახურებს, ამიტომ მათ მხედვე-
ლობაში არ ვიღებ). ე. ი. მე იმის თქმა მინდა.
რომ, გარკვეული თვალსაზრისით, წასახალი-
სებელია ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც
ადამიანებს აიძულებენ, იფხიზლონ. სწორედ
ამ მიზნით, ჩემს ავტომანქანაზე დავდგი ავ-
ტომატური მოწყობილობა, რომელიც ყოველ
ხუთ წუთსა და 17 წამში ერთწუთიან
წყვეტილ სიგნალს იძლევა, რითაც ძილის და-
შუალებას არ გაძლევ იპოდრომის მთელ და-
სახლებას. ჩემი ეს გამოგონება იმდენად რა-
ციონალური აღმოჩნდა, რომ სხვებმაც მომ-
ბაძეს, და, ამის გამო, მათს მანქანებს ერთი
რია-რია აქვთ გამართული. მაგრამ მომბაძე-
ვებმა ვერ გაითვალისწინეს ის, რომ სინქრო-
ნიზაცია დაეცათ. ამის გამო, მეზობლების
ტკბილი ძილისათვის ჩემს მიერ განკუთვნი-
ლი 5 წუთი და 17 წამი დაირღვა და ახლა
ეპიგონების „პი-პი-პი-პი“ ყოველ 37 წამში
გვალვიძებს ყველას. ხომ ცნობილია, რომ
დიდ ხერელში პატარა კაცსაც შეუძლია გაძ-
რომა: მეზობლების გალვიძებას ჩემი მანქანაც
შესძლებს. ჰოდა, გთხოვთ სხვა მანქანების
მფლობელებს აუკრძალოთ ჩემი მიბაძვა. ხუ-
თი წუთი და ჩვიდმეტი წამი მაინც მომეცით,
რომ დავიძინო!

ლ. წითელაშვილიანი

ნახ. 3. გერიშვილისა



— მაგას თუ გელომდე არ გავიცილი, იცოდე
საქუდაშიღ დამგვარგამ!
— გეუკამეთ?! ეს რომ გავიწყდო, გე დამგვარგამ
საქუდაშიღ!

ნახატი აქმუების ავტორ-
ები: მ. აბაშიძე, ვ. ბერი-
შვილი, ა. ალექსიშვილი, გ.
ლომსიძე, ზ. გემაზაშვილი.
გ. თორცხლაშვილი.

5530

[illegible]

სარედაქციო კთალები: ზ. ბრატკინი (პ/მც. მდივანი),
გ. ნიჟინიძე (მო. რედ. მოადგილე) ნ. შერვაშიძე, გ. ფირსალავა,
⊗ ტაჩნისკი რედაქტორი, პუშკალიშვილი, ⊗ თბილისი,
განყოფილება, ⊗ ვლადიმერ ასათიანი 6/X-74 წ. ნელმოქმედ
ფორმაში, დაჯილდოებული. საბჭოთა-სამხრეთული
თავილობა, ლენინი ქ. 14. ⊗ შპს. 4029. უმ 01951. ტიპ. 134.700
ნალ «Нантг». ⊗ Издательство ЦК КП Грузии. ⊗ Типография
ტილოფონები: 99-78-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82.

მთავარი რედაქტორი
ჭურღლან გემაზაშვილი

ულტრამოფაშისტო ელემენტებს უნ-
დათ, რომ მუდმივი დაძაბულობისა და
შიშის ქვეშ იყოლიონ იტალიელი ხალხი.

ნახ. 3. ლომიძისა

ქართული
გეგლირთქა

Индекс 7613



ჯოჯოხეთის მუხალა